განმარტებითი ბარათი

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წიაღის მდგრადი მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა, მიწისქვეშა სივრცის გამოყენებისა და სასარგებლო წიაღისეულით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობისათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა/სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და კოორდინაცია. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა მოითხოვს ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის ეფექტიანად მართვის და განკარგვის უზრუნველყოფას. ამასთან, იგი პირდაპირ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას გარემოზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში- სამინისტრო) ძირითად ამოცანას/ფუნქციას წარმოადგენს სწორედ ბუნებრივი რესურსებით (გარდა სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სფეროში სახელმწიფო მართვა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ასევე, გარემოს დაცვა, ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ორგანიზება. ასევე, ნარჩენების მართვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილება და სააგენტო გახდეს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, რომლითაც მეტად ეფექტიანად იქნება უზრუნველყოფილი სასარგებლო წიაღისეულის მართვა, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენცია და გარემოსთვის მიყენებული ზიანის/მნიშვნელოვანი ზიანის შერბილება.

კანონის მიღების მიზანია სასარგებლო წიაღისეული მართვის და გარემოს დაცვის საკითხების ეფექტიანად წარმართვა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

წარმოდგენილი საკანონმდებლო აქტით არის განსაზღვრული, რომ სსიპ- მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. შესაბამისად, მასში ცვლილების განხორციელება აუცილებელია.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

ცვლილების მიღებით უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო წიაღისეულის მართვის/განკარგვისა და გარემოსდაცვითი საკითხების ეფექტიანად წარმართვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, ნაცვლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირისა, ხდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი - საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

პროექტით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამონაცვლე უწყების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე.

ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი - საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამონაცვლე უწყების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე.

წარმოდგენილი ცვლილებით, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (დანართი - „2025 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ“, პროგრამული კოდი: 24 26 სასარგებლო წიაღის მართვა და კოორდინაცია) გათვალისწინებული სახსრების განკარგვის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლედ ჩაითვლება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

პროექტით განისაზღვრა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2025 წელს განსაზღვრული საშტატო რიცხოვნობა შესაძლებელია აჭარბებდეს „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს

კანონით დადგენილ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დადგენილ მომუშავეთა რიცხოვნობას.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტი ადგენს გარდამავალ პერიოდს ამ ცვლილების მიღებასთან დაკავშირებით მისაღები ან ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ნორმატიული აქტების შესახებ.

ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ან/და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი - საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის (ტოლფას) თანამდებობებზე;

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტი, გარდა ამ კანონპროექტის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისი პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი-5 პუნქტები ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი შეირჩა კანონპროექტით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანისა და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს მისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ასეთი მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა ცენტრალური ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართული “ინფორმაცია 2025 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ“ დოკუმენტით (პროგრამული კოდი: 24 26 სასარგებლო წიაღის მართვა და კოორდინაცია) გათვალისწინებული სახსრების განკარგვის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლედ ჩაითვლება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, ვინაიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ამ კანონპროექტის ამოქმედებამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი - საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების უკონკურსოდ გადაყვანას შესაბამის (ტოლფას) თანამდებობებზე არსებული ანაზღაურებით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ეხება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას და არც მისი არსებული ოდენობის შეცვლას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი არ იქონიებს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ გამომდინარეობს და არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების /შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია /დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის /დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები:

მაია ბითაძე, გიორგი ჭყონია, ვლადიმერ ბოჟაძე, გიორგი ხახუბია, გოდერძი ჩანქსელიანი, ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი ზარქუა, ზაურ დარგალი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები:

მაია ბითაძე, გიორგი ჭყონია, ვლადიმერ ბოჟაძე, გიორგი ხახუბია, გოდერძი ჩანქსელიანი, ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი ზარქუა, ზაურ დარგალი.